# კორპორატიული ინტერნეტ ბანკის მოხმარების ინსტრუქცია

ვერსია N4

07/03/2022

## შინაარსი


1. ზოგადი აღწერა....3
2. რეგისტრაცია....3
3. ინტერნეტბანკში შესვლა....3
4. მთავარი გვერდი....6
5. ჩემი ანგარიშები....6
6. ჩემი სესხები....8
7. ფულადი ოპერაცია....8
8. დისტანციური გადახდები....16
9. POS....17
10. რეგულირება....17
11. ინტერნეტ ბანკიდან გამოსვლა....19

## 1. ზოგადი აღწერა

სს „იშბანკი საქართველოს“ ინტერნეტ ბანკი საშუალებას გაძლევთ, დისტანციურად, დღე–ღამის ნებისმიერ დროს, მართოთ საკუთარი ანგარიშები, შეასრულოთ გადარიცხვები, მიიღოთ ინფორმაცია სესხებზე და დეპოზიტებზე, გადაიხადოთ კომუნალური და სხვა მომსახურების საფასური.

კორპორატიულ ინტერნეტ ბანკს შესაძლებელია ყავდეს როგორც ერთი მომხმარებელი ასევე ერთზე მეტი. თუ თქვენ გსურთ თქვენვე მართოთ თქვენი კომპანიის ანგარიშები და ოპერაციები, აირჩიეთ ერთ მომხმარებლიანი ინტერნეტ ბანკი, ხოლო თუ გსურთ რომ თქვენმა ბუღალტერმა/მინდობილმა პირმა შეასრულოს ოპერაციები, თქვენ კი დაადასტუროთ, აირჩიეთ ორ მომხმარებლიანი ინტერნეტ ბანკი.

**ინტერნეტ ბანკის საშუალებით შესაძლებელია:**

- მიიღოთ ინფორმაცია თქვენი საბარათე და მიმდინარე ანგარიშების შესახებ
- მიიღოთ ამონაწერი
- ნახოთ ტრანზაქციის დეტალები
- აწარმოოთ გადარიცხვები:
    - საკუთარ ანგარიშებს შორის
    - ბანკის შიგნით (GEL)
    - იშბანკი თურქეთში
    - ადგილობრივ ბანკებში
    - საერთაშორისო ბანკებში
- დააკონვერტიროთ თანხა
- გადაიხადოთ კომუნალური და სხვა მომსახურების საფასური
- შეავსოთ მობილურის სასაუბრო ბალანსი
- მიიღოთ ინფორმაცია თქვენი დეპოზიტებისა და კრედიტების შესახებ

## 2. რეგისტრაცია

2.1. ინტერნეტ ბანკის რეგისტრაციისთვის ეწვიეთ იშბანკი საქართველოს თბილისისა და ბათუმის ფილიალებს.

2.2. რეგისტრაციის შემთხვევაში, თქვენს მობილური ტელეფონის ნომერზე გამოიგზავნება დროებითი პაროლი (PIN). დროებითი პაროლი გაიგზავნება არაუგვიანეს განაცხადის ხელმოწერიდან მომდევნო დღისა. პაროლი ავტომატურად გაუქმდება 3 დღის განმავლობაში გამოუყენლობის შემთხვევაში.

## 3. ინტერნეტბანკში შესვლა

3.1. ინტერნეტბანკში შესასვლელად, აკრიფეთ ინტერნეტ ბროუზერში (რეკომენდირებულია Firefox, Google Chrome) www.isbank.ge და აირჩიეთ „კომერციული“



3.2. ავტორიზაციის გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ მოხმარებლის ინსტრუქციას და აირჩიოთ სისტემის ენა (ქართ. EN. TR.)




3.3. ავტორიზაციის გასავლელად, მოცემულ ველებში შეიყვანეთ კორპორატიული კლიენტის ნომერი, მომხმარებლის ნომერი და მობილურ ტელეფონზე მიღებული PIN (პაროლი), რომელიც შედგება 6 ციფრისგან;

3.4. სისტემა გადაგიყვანთ გვერდზე, სადაც უნდა შეიყვანოთ დასტურის კოდი (კოდი ვალიდურია 15 წუთის განმავლობაში), რომელიც გამოგეგზავნებათ ბანკის ბაზაში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე; დასტურის კოდი შედგება 6 ციფრისგან;

3.4.1. თუკი, კოდს ვერ მიიღებთ 15 წუთის განმავლობაში, მოითხოვეთ კოდის ხელახლა გამოგზავნა;

3.4.2. თუკი კოდს აგვიანდება, სცადეთ მობილურის გადართვა „ფრენის“ რეჟიმზე და 20 წამში ისევ სტანდარტულ რეჟიმზე გადმორთვა;

3.4.3. SMS მიღებასთან დაკავშირებული პრობლემის თაობაზე, მოგვწერეთ: support@isbank.ge




3.5. დააჭირეთ ღილაკს „შესვლა“;

3.6. პირველი ავტორიზაციისას, სისტემა მოგთხოვთ სავალდებულო წესით პაროლის შეცვლას;

3.7. შეცვალეთ პაროლი თქვენთვის სასურველი ციფრების კომბინაციით (პაროლი უნდა შედგებოდეს 6 ნიშნისგან. დასაშვებია მხოლოდ ციფრები (0-9);

3.8. ახალი პაროლი არ უნდა შეიცავდეს თქვენი დაბადების თარიღს და არ უნდა იწყებოდეს 0-თ;

3.9. აირჩიეთ ახალი პაროლის მოქმედების ვადა: 1 თვე, 3 თვე და 6 თვე. ვადის გასვლის შემდგომ სისტემა ავტომატურად მოგთხოვთ მის შეცვლას.




3.10. დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“

3.11. ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემდეგ, თქვენ მოხვდებით ინტერნეტ ბანკის მთავარ გვერდზე. მთავარ გვერდზე შესვლისას, ეკრანზე გამოჩნდება მისალმების ფანჯარა, რომელზეც გამოსახულია „მისალმების შეტყობინება“, შეტყობინება უნდა დაადასტუროთ, თუკი ემთხვევა თქვენს მიერ დამახსოვრებულს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუკავშირდით ფილიალს



## 4. მთავარი გვერდი

4.1. მთავარი გვერდზე მოცემულია ინფორმაცია:

- სისტემაში ბოლო შემოსვლის შესახებ, თარიღის და დროის მითითებით
- თქვენი აქტივების ჯამი, რომელიც დაანგარიშებულია ექვივალენტით, ეროვნული ბანკის ოფიციალური ლარის კურსით;
- თქვენი მიმდინარე, სადეპოზიტო და საბარათე ანგარიშების ჩამონათვალი, ანგარიშის ნომრის და ვალუტის, ბალანსის მითითებით;
- კალენდარული გეგმა, რომელიც საშუალებას გაძლევთ შეინახოთ თქვენი პირადი და ფინანსური ჩანაწერები;




## 5. ჩემი ანგარიშები

### 5.1. ჩემი ანგარიშები

ჩემი ანგარიშების გვერდზე მოცემულია თქვენი მიმდინარე და საბარათე ანგარიშების ჩამონათვალი, ანგარიშის დასახლების, ნომრის, ტიპის, ვალუტის, ბალანსის, ოვერდრაფტის, ხელმისაწვდომი ნაშთის მითითებით;

კონკრეტულ ანგარიშის გასწვრივ ღილაკზე დაჭერით, გადახვალთ შესაბამისი ანგარიშის ამონაწერში.

*გაითვალისწინეთ, რომ „ნაშთი ანგარიშზე“ სვეტში გამოგიჩნდებათ ის თანხებიც, რაც დაბლოკილია POS ან/და ბანკომატის ტრანზაქციების და სხვა შეზღუდვების გამო.*



### 5.2. ამონაწერი ანგარიშიდან

- გვერდზე მოცემულია ამონაწერის ფილტრის პარამეტრები. ამონაწერის გაფილტვრა შესაძლებელია კონკრეტულ ანგარიშზე პერიოდის, თანხის და ტრანზაქციის ტიპის მიხედვით.
- ამონაწერის მისაღებად, აირჩიეთ ანგარიში, პერიოდი და დააჭირეთ ღილაკს „ჩამონათვალი“
- შესაძლებელია ამონაწერის ამოღება PDF ან/და Excel ფორმატით. ამისათვის, დააჭიეთ შესაბამის ღილაკს.



## 6. ჩემი სესხები

### 6.1. ჩემი სესხები

ღილაკზე დაჭერით გადადიხართ კრედიტის დეტალების გვერდზე, სადაც მოცემულია შემდეგი ინფორმაცია: სესხის ნომერი, სესხის ტიპი, დარჩენილი ძირი თანხა.

## 7. ფულადი ოპერაცია (გადარიცხვები)

### 7.1. ვალუტის კონვერტაცია

გვერდის საშუალებით შესაძლებელია მოახდინოთ ვალუტის კონვერტაცია თქვენს ანგარიშებზე, უკეთესი გაცვლითი კურსით ვიდრე მოცემულია ფილიალში.

a) აირჩიეთ ანგარიში იმ ვალუტაში, რისი გაყიდვაც გსურთ;
b) აირჩიეთ ანგარიში იმ ვალუტაში, რისი ყიდვაც გსურთ;
c) შეიყვანეთ თანხა გაყიდვის ან ყიდვის ველში;
d) დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“.




### 7.2. გადარიცხვა იშბანკი საქართველოში

ამ გვერდის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა საკუთარ ანგარიშებს შორის ან ბანკის შიგნით მესამე პირის ანგარიშზე.

**გადარიცხვების განხორციელება შესაძლებელია 09:30 დან 18:00 მდე.**

**მესამე პირის ანგარიშებზე გადარიცხვის ვალუტა: ლარი**

ამისათვის, თქვენ უნდა აირჩიოთ ანგარიში საიდანაც გსურთ გადარიცხვის განხორციელება და შეავსოთ/აირჩიოთ შესაბამისი ველები:

a) ტრანზაქციის ტიპი - ჩვეულებრივი ან ინვოისისთ გადახდა;
b) მიმღების ანგარიშის ნომერი ან აიბანი;
c) ტრანზაქციის ტიპი;
d) გადასარიცხი თანხა;
e) განმარტება;
f) დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“;
g) იმისათვის რომ გადარიცხვის შენახვა მოხდეს შაბლონად, მონიშნეთ „შაბლონად შენახვა“, ჩაწერეთ შაბლონის სახელი;




h) სისტემა გაგიხსნით ფანჯარას, სადაც კიდევ ერთხელ გადაამოწმებთ შეყვანილ ინფორმაციას;
i) მას მერე, რაც დარწმუნდებით შეყვანილი ინფორმაციის სისწორეში, დააჭირეთ ღილაკს „შეიყვანეთ მობილური დასტურის კოდი“ და აკრიფეთ მობილურ ტელეფონზე მიღებული 6 ნიშნა კოდი;

**იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონში გადმოწერილი გაქვთ იშბანკი საქართველოს მობაილ ბანკინგის აპლიკაცია, მობილური დასტურის კოდს მიიღებთ აპლიკაციაში, „შეტყობინებები“-ს ინბოქსში; კოდის სანახავად აპლიკაშიაში ავტორიზაცია არ არის აუცილებელი.**

j) დააჭირეთ ღილაკს „დაადასტურე“.

## 7.3. სხვა ბანკებში (GEL)

ამ გვერდის საშუალებით თქვენ შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა საქართველოს სხვა ბანკებში არსებული თქვენი ან მესამე პირის ანგარიშზე.

**გადარიცხვების განხორციელება შესაძლებელია 09:30 დან 17:30 მდე;**

მიმღების ანგარიშზე თანხის ასახვა ხდება მომენტალურად.

a) შენახული შაბლონით გადარიცხვისთვის, მონიშნეთ „გადარიცხვა შაბლონით“ და სიიდან აირჩიეთ სასურველი შაბლონი.
b) აირჩიეთ ლარის ანგარიში საიდანაც გსურთ გადარიცხვის განხორციელება;
c) აირჩიეთ ტრანზაქციის ტიპი: ჩვეულებრივი და სახაზინო ტრანზაქცია:
   - ჩვეულებრივი გადარიცხვა ნიშნავს სხვა ბანკებში ფიზიკური ან იურიდიული პირის ანგარიშზე გადარიცხვას, ხოლო სახაზინო ტრანზაქცია ნიშნავს რომ გადარიცხვა მოხდება სახელმწიფო ხაზინაში;
   - სახაზინო გადარიცხვის არჩევისას, უნდა შეიყვანოთ სახაზინო კოდი;
   - თუკი გადახდა ხდება მესამე პირის სასარგებლოდ, მონიშნეთ უჯრა „გადასახადის გადახდა მესამე პირის სასარგებლოდ“ და შესაბამისად შეავსეთ ველები: „გადასახადის გადამხდელის ID (პირადი ან საიდენტიფიკაციო ნომერი)” და „გადასახადის გადამხდელის სახელი და გვარი“.

     ეს ფუნქცია გამოიყენება მაშინ, როდესაც მაგალითად: თქვენი ანგარიშიდან იხდით სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საშემოსავლო გადასახადს.
d) შეიყვანეთ გადასარიცხი თანხა
e) აირჩიეთ განმარტება
f) შეავსეთ ინფორმაცია (დანიშნულება), მინიმუმ 10 სიმბოლო;
g) გადარიცხვის შაბლონის შესანახად, მონიშნეთ „შაბლონად შენახვა“ და ჩაწერეთ შაბლონის სახელი;
h) დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“




i) სისტემა გაგიხსნით ფანჯარას, სადაც კიდევ ერთხელ გადაამოწმებთ შეყვანილ ინფორმაციას

k) მას მერე, რაც დარწმუნდებით შეყვანილი ინფორმაციის სისწორეში, დააჭირეთ ღილაკს „შეიყვანეთ მობილური დასტურის კოდი“ და აკრიფეთ მობილურ ტელეფონზე მიღებული 6 ნიშნა კოდი;

**იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონში გადმოწერილი გაქვთ იშბანკი საქართველოს მობაილ ბანკინგის აპლიკაცია, მობილური დასტურის კოდს მიიღებთ აპლიკაციაში, „შეტყობინებები“-ს ინბოქსში; კოდის სანახავად აპლიკაციაში ავტორიზაცია არ არის აუცილებელი.**

l) დააჭირეთ ღილაკს „დაადასტურე“




## 7.4. იშბანკი თურქეთში (უცხოური ვალუტის გადარიცხვა)

ამ ფუნქციით თქვენ შეგიძლიათ გადარიცხოთ თანხა იშბანკი თურქეთში არსებული თქვენი ან მესამე პირის ანგარიშზე. ამისათვის, თქვენ უნდა აირჩიოთ ანგარიში საიდანაც გსურთ გადარიცხვის განხორციელება და შეავსოთ დანარჩენი ველები:

a) აირჩიეთ ტრანზაქციის ტიპი: ჩვეულებრივი და ინვოისი: ინვოისის მონიშვნის დროს გადარიცხვას უნდა მიება ინვოისი/ხელშეკრულება.

b) აირჩიეთ როგორი ფორმატით გსურთ გადარიცხვის განხორციელება: მიმღების ანგარიშით თუ IBAN-ით;

- თუკი აირჩევთ IBAN ფორმატს, ფილიალის კოდისა და ანგარიშის ნომრის მითითება აღარ არის საჭირო
- თუკი აირჩევთ ანგარიშის ნომრის ფორმატს, ანგარიშის ნომერთან ერთად დამატებით უნდა შეიყვანოთ ფილიალის კოდიც

c) შეიყვანეთ გადასარიცხი თანხა;

d) აირჩიეთ განმარტება მოცემული სიიდან. თუ სიაში მოცემული მაგალითები არ ემთხვევა თქვენთვის სასურველ განმარტებას, შეგიძლიათ ჩაწეროთ „თქვენი განმარტების“ ველში.

e) დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“

f) პროგრამა გადაგიყვანთ გვერდზე, სადაც შეგიძლიათ კიდევ ერთხელ გადაამოწმოთ თქვენს მიერ შეყვანილი ინფორმაცია.

g) ამის შემდეგ, დააჭირეთ ღილაკს „შეიყვანეთ მობილურით დასტურის კოდი“, გრაფაში ჩაწერეთ დადასტურების კოდი (რომელსაც მიიღებთ მობილურ ტელეფონზე) და დაადასტურეთ გადარიცხვა.

**იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონში გადმოწერილი გაქვთ იშბანკი საქართველოს მობაილ ბანკინგის აპლიკაცია, მობილური დასტურის კოდს მიიღებთ აპლიკაციაში, „შეტყობინებები“-ს ინბოქსში; კოდის სანახავად აპლიკაციაში ავტორიზაცია არ არის აუცილებელი.**




## 7.5. სხვა ბანკებში (უცხოური ვალუტის გადარიცხვა-SWIFT)

a) აირჩიეთ ანგარიში საიდანაც გსურთ გადარიცხვა;
b) აირჩიეთ ქვეყანა სადაც რიცხავთ თანხას;
c) მონიშნეთ „ინვოისით გადახდა“ და ატვირთეთ ინვოისი ან ხელშეკრულება კომპიუტერიდან;
d) ჩაწერეთ მიმღები ბანკის სვიფტ კოდის პირველი სამი ასო ველში, რის შემდეგაც გამოიტანს კოდების ჩამონათვალს. აირჩიეთ აირჩიეთ შესაბამისი კოდი სიიდან;

*გთხოვთ გაითვალისწინეთ: თუკი, კოდის არჩევა არ მოხდება სიიდან, „ანგარიშსწორების თარიღის“ არჩევა იქნება შეუძლებელი.*

e) შეავსეთ ველები: IBAN, მიმღების დასახელება და მიმღების მისამართი - ლათინურ ენაზე;
f) მიუთითეთ გადასარიცხი თანხა;
g) აირჩიეთ ანგარიშსწორების თარიღი; თუკი, გადარიცხვის დარეგისტრირება ხდება 17:00 საათის შემდეგ, ანგარიშსწორების თარიღი უნდა იყოს მომდევნო სამუშაო დღე.
h) აირჩიეთ გადასახადის ტიპი:

**გარანტირებული**: მიმღები სრულად იღებს გაგზავნილ თანხას და არ ხდება საკომისიოს ჩამოჭრა შუამავალი ბანკ(ებ)ის მიერ.

**არა-გარანტირებული**: მიმღები იღებს თანხას, შუამავალი ბანკ(ებ)ის საკომისიოს გამოკლებით.

i) მიუთითეთ „დეტალები/აღწერა“ ლათინურ ენაზე. მაგ. Cost of goods. Invoice N16102018

j) მონიშნეთ რომ ეთანხმებით უცხოური ვალუტის გადარიცხვის პირობებს;

k) დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება.

*გთხოვთ გაითვალისწინეთ: SWIFT უცხოური ვალუტის გადარიცხვა-ს ეკრანის ყველა ველსა და ატვირთული ფაილის დასახელებაში დაშვებული სიმბოლოებია: . (წერტილი) , (მძიმე) - (დეფისი)*




იმ შემთხვევაში, თუ ტელეფონში გადმოწერილი გაქვთ იშბანკი საქართველოს მობაილ ბანკინგის აპლიკაცია, მობილური დასტურის კოდს მიიღებთ აპლიკაციაში, „შეტყობინებები“-ს ინბოქსში; კოდის სანახავად აპლიკაშიაში ავტორიზაცია არ არის აუცილებელი.

## 7.6. გადარიცხვის დამოწმება

გვერდი გამოიყენება მაშინ, როდესაც ინტერნეტ ბანკს ყავს ორი ან მეტი მომხმარებელი და მოქმედებს რამდენიმე დონიანი ავტორიზების სქემა.

- ტრანზაქციის მოთხოვნა გაგზავნილია დასადასტურებლად - შემყვანი პირის მიერ შეყვანილი გადარიცხვები, რომლებიც ჯერ არ არის დამოწმებული;
- ყველა ტრანზაქცია - ყველა დამოწმებული და დამოუმოწმებული ტრანზაქცია.
- *ლარში შესრულებული გადარიცხვის დამოწმება უნდა მოხდეს 17:30 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა გაუქმდება;*
- *იმავე „ანგარიშსწორების დღით" დარეგისტრირებული SWIFT გადარიცხვის დამოწმება უნდა მოხდეს 17:15 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა გაუქმდება;*
- *მომდევნო „ანგარიშსწორების დღით" დარეგისტრირებული SWIFT გადარიცხვის დამოწმება უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღის 17:15 საათამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადარიცხვა გაუქმდება.*




## 7.7. ფილიალის დამოწმება

გადარიცხვები (გარდა საკუთარ ანგარიშებს შორის), რომლებიც აღემატება 1,500 ლარს, იგზავნება ფილიალში დასამოწმებლად. ამ გვერდზე თქვენ დასამოწმებელი გადარიცხვების ისტორიას და სტატუსს. გადარიცხვები შეგიძლიათ გაფილტროთ ტრანზაქციის თარიღის, ტრანზაქციის ტიპის, თანხისა და სტატუსის მიხედვით.




## 7.8. გარიგების ტრეკინგი (გადარიცხვების ისტორია)

ამ გვერდიდან შესაძლებელია შესრულებული ტრანზაქციების საბუთების ბეჭდვა.

აირჩიეთ ტრანზაქციის თარიღი

ღილაკზე დაჭერით ჩამოშალეთ სასურველი ტრანზაქცია და დააჭირეთ ღილაკს „ქვითარი“.



## 8. დისტანციური გადახდები

გადახდების გვერდზე შეგიძლიათ გადაიხადოს კომუნალური და სხვა გადახდები დისტანციურად.

a) აირჩიეთ ქალაქი;

b) კატეგორია:

- კომუნალური გადახდები
- ტელეფონი/ინტერნეტი/ტელევიზია
- ამანათები და ფოსტა, დაზღვევა და პენსია
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები
- განათლება
- სახელმწიფო სერვისები
- სხვადასხვა

c) კომპანიის (პროვაიდერის) დასახელება;

d) მომსახურების დასახელება;

e) აბონენტის ნომერი;

- აბონენტის ნომრის შესამოწმებლად დააჭირეთ ღილაკს „შემოწმება“. შემოწმების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, დავალიანება/ბალანსი და აბონენტის შესახებ ინფორმაცის ველი ავტომატურად შეივსება.

f) შესაბამის ველში შეიყვანეთ გადახდის თანხა და დააჭირეთ ღილაკს „გაგრძელება“;

g) გადახდის განხორციელებამდე გადაამოწმეთ შეყვანილი ინფორმაცია და თანხმობის შემთხვევაში, დააჭირეთ ღილაკს „გადახდა“.



# 9. POS

## 9.1. POS ოპერაციები




## 9.2. დაბლოკილი თანხა




# 10. რეგულირება

### *10.4. PIN-ის შეცვლა*

PIN-ს შეცვლის დროს გაითვალისწინეთ, რომ ის უნდა შედგებოდეს 6 ციფრისგან და განსხვავდებოდეს ბოლოს შეცვლილი PIN-სგან. ასევე, არ უნდა იწყებოდეს ნულით და არ უნდა შეიცავდეს თქვენი დაბადების თარიღს.




### *10.4.1. წარუმატებელი შესვლა*

აქ ნახავთ ინფორმაციას თქვენი ინტერნეტ ბანკის სისტემაში წარუმატებელი შესვლების ისტორიის შესახებ, სადაც მოცემულია ყოველი წარუმატებელი შესვლის თარიღი, დრო, და განმარტება (მიზეზი) . ეს ფუნქცია დაგეხმარებათ  უკეთესად აკონტროლოთ სისტემის უსაფრთხოება. თუ აღმოაჩენთ, რომ რომელიმე არასწორად შესვლა თქვენს მიერ არ არის განხორციელებულობა, დაუყოვნებლივ აცნობეთ ბანკს.



### *10.4.2. მისალმების შეცვლა*

თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ მისალმების მესიჯი, რომელიც გიცავთ თაღლითებისგან.

### *10.4.3. განაახლე ინფორმაცია კომპანიაზე*

ფუნქციის სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ავტორიზებულ პირს. შესაძლებელია განახლდეს კომპანიის ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი.

### *10.4.4. განაახლე ინფორმაცია მომხმარებელზე*

ამ ფუნქციის დახმარებით შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ბანკის ბაზაში.

### *10.4.5. კომპანიის პარამეტრები*

ფუნქციის სარგებლობა შეუძლია მხოლოდ ავტორიზებულ პირს. შესაძლებელია დაათვალიეროთ კომპანიაზე გაწერილი ყველა უფლება.

### *10.4.6. მომხმარებლის პარამეტრები*

შესაძლებელია დაათვალიეროთ კომპანიაზე გაწერილი ყველა უფლება.

## 11. ინტერნეტბანკიდან გამოსვლა

გამოსვლა ინტერნეტბანკის გვერდიდან ყოველთვის უნდა მოხდეს ღილაკზე 

დაჭერით.